სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევის ანგარიში

2023

სარჩევი

1. მოკლე მიმოხილვა ---------- 3

1.1 კვლევის მიზანი და ამოცანები ----------3

1.2 კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი ----------4

1.3 სამიზნე ჯგუფი ----------4

2. კვლევის შედეგები ----------5

2.1 კოლეჯში არსებული სასწავლო გარემო ----------5

2.2 სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა და სასწავლო აუდიტორიები ----------7

2.3 პრაქტიკის ობიექტები და პრაქტიკა ----------7

2.4 კოლეჯის მასწავლებლების შეფასება ----------8

2.5 პროფესიული პროგრამები და სასწავლო პროცესი ----------9

2.6 ადმინისტრაციასთან ურთიერთობა ----------10

2.7 ინტერნეტ მომსახურება და ვებ-გვერდი ----------11

2.8 კარიერის დაგეგმვა და გაცვლითი პროგრამები ----------12

2.9 სტუდენტთა/მსმენელთა საჭიროებები ----------13

დასკვნა ----------13

რეკომენდაციები ----------14

1. მოკლე მიმოხილვა

სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევა ჩატარდა ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სპეციალისტის მიერ 2023 წლის მაისი-ივნისის თვეში. მასში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯ „აისი“-ის ოთხივე ლოკაციის (გურჯაანი, სოფ. კაჭრეთი; დედოფლისწყარო, სოფ.სამრეკლო; ლაგოდეხი, სოფ. შრომა; ახმეტა, სოფ. ქვემო ალვანი) სტუდენტებმა და მსმენელებმა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების/მსმენელების საჭიროებებისა და კმაყოფილების დადგენა.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის, კერძო სტრუქტურიზებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. კვლევა განხორციელდა სსიპ კოლეჯის „აისი“ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. კვლევა განხორციელდა ანონიმურად და შევსების პლატფორმად გამოყენებულია Google forms-ი. კვლევის ფარგლებში კითხვარი გაეგზავნა ოთხივე ლოკაციის 498 სტუდენტს/მსმენელს, საიდანაც შეავსო 384-მა სტუდენტმა/მსმენელმა, რაც შეადგენს 77 %-ს.

1.1 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების საჭიროებებისა და კმაყოფილების შესწავლა. აქედან გამომდინარე შემუშავდა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- სსიპ კოლეჯში „აისი“ არსებული სასწავლო გარემოს შეფასება;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფისა და სასწავლო აუდიტორიების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ პრაქტიკის ობიექტებისა და პრაქტიკის შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლებით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული პროგრამებითა და სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეფასება;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ ადმინისტრაციასთან ურთიერთობის შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ ინტერნეტ მომსახურებითა და ვებ-გვერდით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტებისთვის კარიერის დაგეგმვითა და გაცვლითი პროგრამებით დაინტერესების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტთა სურვილებისა და საჭიროებების დადგენა;

1.2 კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი კვლევის მეთოდი. მოცემული მეთოდის შერჩევა განაპირობა საკვლევი საკითხების სპეციფიკურობამ და სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის შეგროვების საჭიროებამ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი გვაძლევს საკვლევი აუდიტორიიდან მიღებული ინფორმაციის განზოგადებისა და დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. აღნიშნული მეთოდი არის სანდო წყარო თავისი ანონიმურობიდან გამომდინარე და ასახავს რეალურ მონაცემებს.

კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ლოკაციის სტუდენტები/მსმენელები. კვლევა გახლავთ ანონიმური, Google forms-ის პლატფორმაზე სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით.

სტუდენტებს ელექტრონული მეილების საშუალებით გაეგზავნათ კითხვარის შესავსები ლინკი და განესაზღვრათ გარკვეული დრო მათ შესავსებად. კითხვარის თავში განსაზღვრული იყო კვლევის მიზანი და ამოცანები, ასევე შევსების ინსტრუქცია და ცხრილის ქულობრივი შეფასების განმარტება. კვლევის ფარგლებში კითხვარი გაეგზავნა 498 სტუდენტს/მსმენელს, მიღებულია 384 პასუხი.

ცხრილი N1

კვლევის მეთოდოლოგია	
მეთოდი	**რაოდენობრივი კვლევა**
ტექნიკა	**სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ**
პლატფორმა	**Google forms**
სამიზნე ჯგუფი	**სსიპ კოლეჯის ‘აისი“ სტუდენტები/მსმენელები**
რესპოდენტთა რაოდენობა	**384 რესპოდენტი**
კვლევის არეალი	**სსიპ კოლეჯის ‘აისი“ ყველა ფილიალი**
ინტერვიუს ხანგრძლივობა	**15-20 წუთი**

1.3 სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფად, კვლევის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ფილიალის მოქმედი სტუდენტები/მსმენელები. კვლევის

პერიოდისთვის წარმოდგენილი იყო 21 სპეციალობის ჯგუფების სტუდენტები და 2 სპეციალობის მსმენელთა ჯგუფები, რომლებიც გადანაწილებულია სსიპ კოლეჯის „აისი“ ყველა ლოკაციაზე. ჯამურად გამოიკითხა 384 სტუდენტი.

ბაზაში წარმოდგენილია შემდეგი პროფესიის სტუდენტები :

1. მეღვინეობა - მევენახეობა;
2. ვეტერინარია;
3. ელექტროობა;
4. სატყეო საქმე;
5. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება;
6. მეფუტკრეობა;
7. კულინარიის ხელოვნება;
8. ინფორმაციის ტექნოლოგია;
9. კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
10. იატაკისა და ფილის სამუშაოები;
11. მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილის შეკეთება;
12. ხის მხატვრული დამუშავება;
13. თმისა და სილამაზის მომსახურება;
14. ქვის სამუშაოების წარმოება;
15. თექის დამზადება;
16. ბუღალტრული აღრიცხვა:
17. საოფისე საქმე;
18. თაბაშირ - მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი;
19. მხატვრული ქსოვილები;
20. მომინანქრება;
21. კერამიკული ნაკეთობების დამზადება.

ბაზაში წარმოდგენილია შემდეგი პროფესიის მსმენელები;

1. თმის შეჭრა;
2. მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთობათა დამზადება;

2. კვლევის შედეგები

2.1კოლეჯში არსებული სასწავლო გარემო

სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტები/მსმენელები კმაყოფილნი არიან სასწავლებელში არსებული სასწავლო გარემოთი. კოლეჯის აუდიტორიების, სანიტარული მდგომარეობით,

ელექტრო ქსელითა და გათბობა-კონდიცირების სისტემით, ლაბორატორიებისა და შენობის კეთილმოწყობით.

შედეგების მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა შემდეგმა გარემოებებმა: სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია (100%), სტუდენტებისთვის კომპიუტერების რაოდენობა და მათი პროგრამული უზრუნველყოფა დამაკმაყოფილებელია (96%), აუდიტორიებში დამონტაჟებული მონიტორები გამართულად მუშაობს (97%), იატაკი არის კარგ მდგომარეობაში (98%), კედლები, კარ-ფანჯრები არის კარგ მდგომარეობაში (98%),წყალგაყვანილობასა და სველი წერტილების მოწესრიგებულია (93%).

პროცენტულად კმაყოფილების შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს: ელექტრო ქსელი და გათბობა-კონდიცირების სისტემა მუშაობს გამართულად (89%).

ამ თავში მოცემული კითხვების პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N1-ზე.

გრაფიკი N 1 კოლეჯში არსებული სასწავლო გარემო.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.2 სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა და სასწავლო აუდიტორიები

კვლევის ერთ-ერთი თავი მოიცავდა კითხვებს სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფისა და სასწავლო აუდიტორიების შესახებ. აღნიშნული კითხვებიდან უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა შემდეგმა გარემოებებმა: თეორიული სალექციო აუდიტორიების კეთილმოწყობილია (99%), სასწავლო მასალები და ტექნიკური აღჭურვილობა საკმარისია (98%), სასწავლო აუდიტორიები ტექნიკით აღჭურვილია (97%), კომპიუტერული ბაზით უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესი (96%), სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკით (93%)

სტუდენტების/მსმენელების ამ თავის პასუხების ანალიზის მიხედვით კმაყოფილების შედარებით დაბალი პროცენტი გამოიკვეთა შემდეგ კითხვაში: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ინტერნეტით (79%).

გრაფიკი N 2 კოლეჯის სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა და სასწავლო აუდიტორიები.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.3 პრაქტიკის ობიექტები და პრაქტიკა

საკვლევ საკითხებში ასევე არის პუნქტი პრაქტიკის ობიექტების და პრაქტიკის შესახებ.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ სტუდენტთა/მსმენელთა უმრავლესობა (97%) გამოთქვამს კმაყოფილებას კოლეჯში არსებული სასწავლო პრაქტიკის სამუშაოების შეფასებისას. ასევე უმაღლესი შეფასება აქვს საკითხს - „პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად“ (97%), უმაღლესი შეფასება აქვს ასევე შემდეგ საკითხს: სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიები აღჭურვილია საჭირო ტექნიკით, იარაღებით (98%).

გამოკითხული სტუდენტების/მსმენელების პასუხებიდან შემდეგი პროცენტი აქვს არსებულ საკითხებს: სასწავლო პრაქტიკა უზრუნველყოფილია საჭირო მასალებით (96%) და კოლეჯის მიერ მუდმივ რეჟიმში ხორციელდება სასწავლო პრაქტიკისთვის საჭირო აღჭურვილობისა და დანადგარების განახლება (96 %)

კითხვების პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N 3-ზე.

გრაფიკი N 3 კოლეჯის პრაქტიკის ობიექტები და პრაქტიკა.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.4 კოლეჯის მასწავლებლების შეფასება

შედეგებიდან ჩანს, რომ სტუდენტები/მსმენელები სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლებს უმაღლეს შეფასებას აძლევენ შემდეგ კრიტერიუმებში: ლექციების მიმდინარეობისას აქტიურად ხდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება (99%), სტუდენტებს/მსმენელებსა და მასწავლებლებს შორის

კარგი ურთიერთობებია (99%), პედაგოგი ყოველთვის კარგად არის მომზადებული ლექციისათვის და იყენებს სხვადასხვა თვალსაჩინოებებს, რესურსებს (98%).

შემდეგი შეფასება დაიმსახურა ქვემოთ მოცემულმა კრიტერიუმებმა: პედაგოგიური პროფესიონალიზმის შეფასება (97%), ჯგუფში მუშაობის შეფასება (97%), კმაყოფილი ვარ სპეციალობის სწავლების დონით (96%).

გრაფიკი N 4 კოლეჯის მასწავლებლების შეფასება.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.5 პროფესიული პროგრამები და სასწავლო პროცესი

ერთ-ერთი საკვლევი საკითხი ეხებოდა სსიპ კოლეჯში „აისი“ პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასებას. სტუდენტთა/მსმენელთა პასუხებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი კმაყოფილნი არიან კოლეჯის პროფესიული პროგრამებითა და სასწავლო პროცესის მიმდინარებით.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ გამოკითხულ სტუდენტთა/მსმენელთა უმრავლესობა უმაღლეს შეფასებას აძლევს შემდეგ საკითხებს: სტუდენტების/მსმენელების რეგისტრაცია მიმდინარეობს შეუფერხებლად (98%), თეორიული ლექციების შეფასება (97%), ცხრილების შედგენა ხდება დროულად (97%), კმაყოფილი ვარ სპეციალობის სწავლების დონით (96%), დამატებითი გამოცდებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების თარიღები დროულადაა ცნობილი (96%), საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი შეფასება დამაკმაყოფილებელია (93%) და კოლეჯში არსებულ შეფასების სისტემა მისაღებია (95%).

გრაფიკი N 5 კოლეჯის პროფესიული პროგრამები და სასწავლო პროცესი.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.6 ადმინისტრაციასთან ურთიერთობა

კვლევის ერთ-ერთი თავი ეხებოდა სსიპ კოლეჯის „აისი“ ადმინისტრაციასთან ურთიერთობის შეფასებას. კვლევის მონაცემების თანახმად ადმინისტრაციასთან ურთიერთობის შეფასებისას ყველაზე მაღალი ქულით სტუდენტები/მსმენელები აფასებენ შემდეგ კითხვებს: ადმინისტრაციული პერსონალი დაკომპლექტებულია პროფესიონალი

კადრებით (100%), ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაცია მარტივია და მაქვს მხარდაჭერა მათი მხრიდან (99%), ადმინისტრაციის მხრიდან ხდება დროული ინფორმირება (98%).

შემდეგი პროცენტი აქვს მომდევნო ორ კითხვას: ადმინისტრაცია დროულად აგვარებს პრობლემებს (96%) და ადმინისტრაციული საქმისწარმოება გამართულია (97%).

გრაფიკი N 6 კოლეჯის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.7 ინტერნეტ მომსახურება და ვებ-გვერდი

კვლევაში რამდენიმე კითხვა შეეხებოდა ვებ-გვერდის სათანადო მუშაობასა და ინტერნეტით კმაყოფილების შესწავლას. პასუხების მიხედვით დაბალი შეფასება აქვს შემდეგ საკითხებს: კოლეჯის ვებ-გვერდზე მუდმივად ხდება ინფორმაციის განახლება (75%), კოლეჯის ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას (81%), ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის (92%), ინტერნეტის სიჩქარე დამაკმაყოფილებელია (82%).

გრაფიკი N 7 კოლეჯის ინტერნეტ მომსახურება და ვებ-გვერდი.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 8-9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.8 კარიერის დაგეგმვა და გაცვლითი პროგრამები

კითხვებზე მიღებული პასუხების თანახმად გაირკვა, რომ სტუდენტებს/მსმენელებს სმენიათ კარიერის დაგეგმის შესახებ (კი 92%, არა 8%) და მათი პასუხების მიხედვით 77%-ს აქვს სურვილი გაიაროს კარიერის დაგეგმვის ტრენინგები სამუშაოს ძიების, CV-ის და სამოტივაციო წერილის შედგენისა და დამსაქმებელთან გასაუბრების ტექნიკის შესახებ. ამ თავის ერთ-ერთ კითხვას გამოკითხულ სტუდენტთა/მსმენელთა 91%-მა უპასუხა დადებითად. კითხვა კი შემდეგში მდგომარეობდა „მიიღებდით თუ არა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას“.

გრაფიკი N 8 კოლეჯში კარიერის დაგეგმვა და გაცვლითი პროგრამები.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია „დიახ“ პასუხის შესაბამისი მონაცემები.



გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მსურველთა პასუხების მიხედვით ქვეყნების პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკზე N 9.

გრაფიკი N 9. შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია (დადებითი პასუხის 91%-ის მიხედვით) ყველა ქვეყნის პროცენტული მაჩვენებელი, რაც დაასახელეს სტუდენტებმა. 9 % - მა უარი თქვა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობაზე



2.9 სტუდენტთა/მსმენელთა საჭიროებები

კვლევის ერთი თავი შეეხებოდა სტუდენტების/მსმენელების საჭიროებებს. მიღებული უკუკავშირიდან ჩანს რომ ახალგაზრდებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კუთხით შეიძლება დაიგეგმოს უფრო მეტი აქტივობები (სტუდენტების/მსმენელების ნამუშევრების გამოფენა; დასაქმებული კურსდამთავრებულების გამოცდილების გაზიარება, პოტენციურ დამსაქმებლებთან ხშირი შეხვედრები).

სტუდენტებს/მსმენელებს აქვთ სურვილი კოლეჯში ჩატარდეს დარგში არსებული წამყვანი პროფესიონალების მასტერკლასები, ვორქშოფები. ხშირად მეორდება სტუდენტების/მსმენელების პასუხებში სასწავლო ექსკურსიების სურვილი.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კვლევის მიზანი მიღწეულია. არსებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოლეჯის „აისი“ სტუდენტები და მსმენელები კმაყოფილები არიან: არსებული სასწავლო გარემოთი, სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფითა და სასწავლო აუდიტორიებით, პრაქტიკის ობიექტებითა და პრაქტიკით, მასწავლებლებით, პროფესიული პროგრამებითა და სასწავლო პროცესით, ადმინისტრაციასთან ურთიერთობით.

არსებულ კმაყოფილებასთან ერთად გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რომლებიც ხშირად მეორდება სტუდენტების/მსმენელების პასუხებში. ესენია: სასწავლო პროცესის ინტერნეტით უზრუნველყოფა და ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლება.

რეკომენდაციები

- ყველა სპეციალობისა და ფილიალის სტუდენტების/მსმენელებისთვის დაიგეგმოს სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ვიქტორინები, შეჯიბრები, კონკურსები;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს სასწავლო ექსკურსიები პროფესიების შესაბამისად;
- პროგრამების მიხედვით ხშირად მოეწყოს დარგში არსებული წამყვანი პროფესიონალების მასტერკლასები, ვორქშოფები, სამუშაო შეხვედრები;
- ჩატარდეს კარიერის დაგეგმვის ტრენინგები სამუშაოს ძიების, CV-ის და სამოტივაციო წერილის შედგენისა და დამსაქმებელთან გასაუბრების ტექნიკის შესახებ.
- გაიზარდოს ვებ-გვერდის დატვირთვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციით და ინფორმაციის განახლების სიხშირით.
- გაიზარდოს სასწავლო პროცესის ინტერნეტით უზრუნველყოფა.